საზოგადოება და ბანკები
SOCIETY AND BANKS

ბიზნეს სექტორის მიმოხილვა და მისი გამოწვევები

www.sab.ge

ბიზნეს სექტორის მიმოხილვა და მისი გამოწვევები

ანალიტიკური ცენტრის Heritage Foundation-ის უკანასკნელი გამოკითხვის თანახმად, საქართველოს ეკონომიკური თავისუფლების 2015 წლის ინდექსის მაჩვენებელი - 73.0 წინა წლის ინდექს 72.6-ზე 0.4-ით გაუმჯობესდა, რაც ათი კატეგორიიდან ოთხის (კორუფციისგან თავისუფლება, სამთავრობო ხარჯები, მონეტარული თავისუფლება და ბიზნესის თავისუფლება) წინსვლის შედეგია. 73.0 ქულის მიხედვით საქართველო მსოფლიოში 22-ე, ხოლო ევროპის 43 ქვეყანას შორის კი მე-11 ადგილზეა. ამ მაჩვენებლის მიხედვით ის, როგორც მსოფლიო (60.4), ასევე რეგიონის (67.0) საშუალო მაჩვენებელზე მაღლა დგას. ზემოთ აღნიშნული ეკონომიკური თავისუფლების ოთხი ინდექსიდან ერთ-ერთი ბიზნესის თავისუფლების მაჩვენებელია, რაც წინა - 2014 წლის ინდექსის მაჩვენებელთან შედარებით უმნიშვნელოდ, მაგრამ 0.8 პუნქტით მაინც გაუმჯობესდა. აღსანიშნავია, რომ ბიზნესის თავისუფლების 2003-2011 წლების ინდექსები ან უცვლელი იყო, ან მეტწილად მკვეთრად უმჯობესდებოდა. რაც შეეხება მომდევნო 2011 და 2012 წლებს, ეს მაჩვენებელი გაუარესების ტენდენციით ხასიათდებოდა. 2013 წლის ინდექსი კვლავ გაუმჯობესდა, თუმცა 2014 წლის მაჩვენებელი გასული წლებთან (2004-2013 წლები) შედარებით ყველაზე დიდი ოდენობით 2.8 პუნქტით გაუარესდა.

მსოფლიო ბანკის მიერ Doing Business-ის შესახებ ჩატარებული კვლევის თანახმად (ახალი მეთოდოლოგიით) საქართველომ 2014 წლის რეიტინგით მე-14, ხოლო 2015 წლის რეიტინგით კი მე-15 ადგილი დაიკავა (ერთი ადგილით გაუარესდა). ამ რეიტინგის დასადგენად მსოფლიო ბანკი 10 კომპონენტს განიხილავს, საიდანაც ბიზნესის დაწყების სიმარტივე და ელექტროენერგიაზე ხელმისაწვდომობა - 1, კრედიტზე ხელმისაწვდომობა - 2, გადასახადების გადახდა და მათი მოცულობა - 16 და საგარეო ვაჭრობის სიმარტივე - 2 ადგილით გაუარესდა. ერთადერთი კომპონენტი ეს გადახდისუნარიანობის აღდგენაა, რაც - 8 ადგილით გაუმჯობესდა, დანარჩენი 4 კომპონენტი კი (სამშენებლო ნებართვის აღება, ქონების რეგისტრაცია, მცირე წილის მფლობელ ინვესტორთა დაცვა და კონტრაქტის პირობების აღსრულება) უცვლელი დარჩა.

მართალია 2015 წელს Doing Business-ის რეიტინგი მნიშვნელოვნად არ გაუარესებულა, თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ამავე კვლევის თანახმად ბოლო ორი წლის განმავლობაში, საქართველოში ბიზნეს გარემოს გაუმჯობესების კუთხით მნიშვნელოვანი რეფორმა არ განხორციელებულა. გასულ წლებში კი მათი ოდენობა საკმაოდ მაღალი იყო და 2006/2007 წლებში საქართველო საუკეთესო რეფორმატორი ქვეყნების ათეულში შევიდა. ზემოთ ხსენებული რეიტინგებიდან გამომდინარე, საზოგადოება და ბანკები ბიზნეს სექტორში[1] არსებული ვითარებით დაინტერესდა და ამ სფეროს მდგომარეობის ამსახველი მონაცემები მიმოიხილა.

---

[1]გამოკვლევის რესპონდენტებს წარმოადგენენ მხოლოდ შემდეგი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მქონე საწარმოები: შპს, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებები, კომანდიტური საზოგადოებები, სააქციო საზოგადოებები, კოოპერატივები და ინდივიდუალური მეწარმეები.

გრაფიკი 1: ბრუნვის და პროდუქციის გამოშვების ზრდის ტემპი (2005-2014 წლები)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური; geostat.ge

ბრუნვის[2] და პროდუქციის გამოშვების[3] ზრდის ტემპი 2005-2007 წლებში ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა (2007„ეკონომიკური ბუმის'' პერიოდი), 2008 და 2009 წლებში კი კლების (რუსეთ-საქართველოს ომის წელი და მისი შემდგომი პერიოდი). 2010 წლიდან ზრდის ტემპმა კვლავ ზრდა დაიწყო და 2011 წელს, 2005-2014 წლებთან შედარებით მის მაქსიმუმ მაჩვენებელს მიაღწია. ამის მიზეზი რეალურად მაღალი ეკონომიკური ზრდა კი არა (მიუხედევად იმისა, რომ 2011 წელს 2008-2014 წლებთან შედარებით ყველაზე მაღალი ეკონომიკური ზრდა 7.2% დაფიქსირდა), არამედ სააღრიცხვო მეთოდოლოგიის გაუმჯობესება იყო, რაც მოქმედ საწარმოთა გენერალური ერთობლიობის ბაზის განახლებაში, საწარმოთა მოცვის ხარისხის გაუმჯობესებაში და საწარმოთა მხრიდან ოპერატიული (წინასწარი) მონაცემების დაზუსტებაში გამოიხატებოდა. 2013 წლიდან ეს მაჩვენებლები კვლავ კლების ტენდენციით მიდის და 2014 წელს (წინასწარი მონაცემებით) გასულ წლებთან შედარებით (თუ 2009 წელს არ ჩავთვლით, ისიც მხოლოდ ბრუნვის შემთხვევაში) ბრუნვის და პროდუქციის გამოშვების ზრდის ტემპის ყველაზე დაბალი მაჩვენებლები ფიქსირდება.

---

[2] ბრუნვა არის საანგარიშო პერიოდში ეკონომიკური ერთეულის მიერ განხორციელებული გაყიდვები, ანუ დარიცხული შემოსავლები საქონლისა და მომსახურების გაყიდვებიდან (ბარტერის ჩათვლით).

[3] პროდუქციის გამოშვება განსაზღვრავს ეკონომიკური ერთეულის მიერ ფაქტობრივად წარმოებული პროდუქციის რაოდენობას და რეალიზებული პროდუქციის მოცულობას, გადაყიდვისთვის შეძენილი საქონლისა და მომსახურების, აგრეთვე მატერიალური საბრუნავი საშუალებების მარაგების ცვლილების ჩათვლით.

გრაფიკი 2: დასაქმებულთა და დაქირავებულთა ოდენობის ზრდის ტემპი (2005-2014 წლები)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური; geostat.ge

დასაქმებულთა[4] და დაქირავებულთა[5] ზრდის ტემპი მეტწილად ასევე ბრუნვის და პროდუქციის გამოშვების ტრენდის მსგავსად ვითარდება. 2011 წელს დაფიქსირებული მაღალი ზრდის ტემპი, კვლავ არა ეკონომიკური ზრდის, არამედ სააღრიცხვო მეთოდოლოგიის გაუმჯობესების შედეგია (იგივე ეხება 2006 წლის კლების მაჩვენებელსაც. ამ წელს ბიზნეს სტატისტიკიდან გარკვეული საქმიანობის სექტორების და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მონაცემების გამოყოფა მოხდა, რაც დასაქმებულთა ოდენობაზე განსაკუთრებით აისახა). რაც შეეხება 2014 წელს (წინასწარი მონაცემებით), აქაც, როგორც დასაქმებულთა ისე დაქირავებულთა ოდენობა გასულ წლებთან შედარებით ყველაზე დიდი ოდენობით შემცირდა.

2005-2014 წლების პერიოდის მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ ბიზნეს სექტორის აქტივობა ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობის მსგავსად ვითარდება. 2008 წლამდე მონაცემების ზრდის ტემპის მეტწილად ზრდა შეინიშნება; 2008, 2009 წლებში მეტწილად კლება, 2010 წლიდან ზრდა, ხოლო 2013 წლიდან კვლავ მკვეთრი კლება.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2014 წელს ბრუნვის (გამონაკლისი 2009 წელია), პროდუქციის გამოშვების მოცულობა და დასაქმებულთა და დაქირავებულთა ოდენობის ზრდის ტემპი გასულ წლებთან შედარებით

---

[4] დასაქმებულთა რაოდენობაში იგულისხმება საწარმოში დასაქმებულ პირთა (დაქირავებულები, დასაქმებული დამფუძნებლები და საოჯახო საწარმოს შემთხვევაში-დასაქმებული ოჯახის წევრები) საშუალო რაოდენობა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში.

[5] დაქირავებულ პირთა რაოდენობაში იგულისხმება საწარმოში დასაქმებული პირები, რომელთა შრომითი ურთიერთობა რეგულირდება საწარმოსთან დადებული ხელშეკრულებით, ანუ კონტრაქტით და რომელთაც დაერიცხათ და/ან მიეცათ ხელფასი.

ყველაზე მცირეა; მიუხედევად იმისა, რომ 2014 წელს არსებული ეკონომიკური ზრდის წინასწარი მონაცემი 4.8%, 2008, 2009 და 2013 წელს დაფიქსირებულ ეკონომიკურ ზრდაზე (2.6%, -3.7%, 3.3%) მაღალია. ეს მაჩვენებლები იმაზე მიუთითებს, რომ ბიზნეს სექტორში დღეს გარკვეული პრობლემებია, რაც ქმედითი ნაბიჯების გადადგმას საჭიროებს ბიზნეს გარემოს გაუმჯობესების და წარმოების გაზრდის ხელშეწყობის კუთხით.

2014 წლის ბიზნეს სექტორის დეტალური ანალიზი

ბიზნეს სექტორში არსებული მდგომარეობის და პრობლემების უფრო ნათელი ანალიზისთვის 2014 წელს (წინასწარი მონაცემები) ბრუნვა, პროდუქციის გამოშვება, დასაქმებულთა, დაქირავებულთა და დაქირავებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება, ეკონომიკური საქმიანობის სახეების, საკუთრების ფორმების და რეგიონების მიხედვითაც მიმოვიხილოთ.

გრაფიკი 3: ბიზნეს სექტორის 2014 წლის მონაცემები ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური; geostat.ge

2014 წელს ბრუნვის და პროდუქციის გამოშვების ყველაზე დიდი ოდენობით ვაჭრობა, მრეწველობა, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა და მშენებლობის სექტორი გამოირჩევა, ხოლო ყველაზე მცირე ოდენობით კი თევზჭერა, მეთევზეობა, განათლება და სოფლის მეურნეობის სექტორი.

დასაქმებულების და დაქირავებულების ოდენობით ვაჭრობის, მრეწველობის და ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარების სექტორი ასევე მოწინავე ადგილებზეა; ხოლო ყველაზე მცირე ოდენობის ადამიანი კი თევზჭერის, მეთევზეობის, სოფლის მეურნეობის და განათლების სექტორში მუშაობს.

რაც შეეხება ანაზღაურებას ყველაზე მაღალი ანაზღაურება დაქირავებულებს მშენებლობის, ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის სექტორში აქვთ და ყველაზე მცირე კი განათლების, თევზჭერის, მეთევზეობის, სასტუმროების და რესტორნების და სოფლის მეურნეობის სექტორში.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს მხრიდან სოფლის მეურნეობის სექტორის ხელშეწყობა სხვადასხვა სახის სუბსიდიებით აქტიურად მიმდინარეობს, ამ სექტორის ბრუნვა მთლიანად ბიზნეს სექტორის ბრუნვაში ერთ-ერთი ყველაზე მცირეა. ეს კი გვაფიქრებინებს, რომ დღეს ამ კუთხით სახელმწიფო ფინანსების არც თუ ისე ეფექტიანი გამოყენება ხდება. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარების სექტორში საკმაოდ ბევრი ადამიანია დასაქმებული, თუმცა ამ სექტორში ბრუნვა და პროდუქციის გამოშვება ერთ-ერთი ყველაზე მცირეა. ეს ფაქტი იმის მანიშნებელია, რომ ამ სფეროში ადამიანური რესურსების არაეფექტიანი გამოყენება ხდება.

რაც შეეხება ანაზღაურებას, ყველაზე მცირე დაქირავებულებს განათლების და სასტუმროების და რესტორნების სექტორში აქვთ, რაც უარყოფითი ფაქტია. საქართველოში არასაკმარისი კვალიფიკაციის პრობლემა თითქმის ყველა სექტორშია, შესაბამისად, მისი ამაღლებისთვის განათლების სექტორში მაღალი ანაზღაურება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ასევე, ვინაიდან ტურიზმის სექტორი საქართველოში უცხოური ვალუტის შემოდინების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს და მისი განვითარება ჩვენი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია, ამ სექტორში დაქირავებულთათვის მაღალი ანაზღაურების ქონა ამ სექტორის განვითარებისთვის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა.

გრაფიკი 4: ბიზნეს სექტორის 2014 წლის მონაცემები საკუთრების ფორმების მიხედვით



წყარო: <u>საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური;</u> geostat.ge

ბრუნვის, პროდუქციის გამოშვების, დასაქმებულების, დაქირავებულების და ანაზღაურების ოდენობის მიხედვით კერძო სექტორი დომინანტია (სახელმწიფო სექტორს მცირე წილი უკავია), კერძოდ კი ადგილობრივი ფიზიკური და/ან იურიდიული პირები. მართალია კერძო სექტორი წამყვანია, თუმცა ბრუნვა ამ სექტორში 2014 წელს გასულ 2004-2013 წლებთან შედარებით ყველაზე მცირე ოდენობით 1,807.3 მლნ ლარით გაიზარდა (თუ 2009 წელს არ ჩავთვლით). დღეს, ქვეყნის სწრაფი განვითარებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ბიზნეს სექტორში სახელმწიფოს როლის რაც შეიძლება მინიმუმამდე დაყვანა და კერძო სექტორის წილის ზრდა მოხდეს.

გრაფიკი 5: ბიზნეს სექტორის 2014 წლის მონაცემები რეგიონების მიხედვით



წყარო: <u>საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური;</u> geostat.ge

ბრუნვის, პროდუქციის გამოშვების, დასაქმებულების და ასევე დაქირავებულების ოდენობის მიხედვით მოწინავე ადგილებზე თბილისის, აჭარის, ქვემო ქართლის და იმერეთის რეგიონები დგას, ხოლო ბოლო ადგილებზე კი რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, გურია, სამცხე-ჯავახეთი და მცხეთა-მთიანეთია.

რაც შეეხება ანაზღაურებას, ანაზღაურება ყველაზე მაღალი მცხეთა-მთიანეთის რეგიონშია 1,032.7 ლარის ოდენობით, შემდეგ ადგილზე თბილისი, ქვემო ქართლი და აჭარა დგას. ყველაზე დაბალი ანაზღაურება კი შიდა ქართლში, კახეთში, რაჭა-ლეჩხუმში და ქვემო სვანეთშია. მცხეთა-მთიანეთის დომინანტობა იმით არის გამოწვეული, რომ ამ რეგიონში 3 მსხვილი ქარხანაა (ნატახტარი, ზედაზენი და ქსნის მინის ქარხანა) და ასევე დაქირავებულთა ოდენობა ამ რეგიონში მცირეა. ანაზღაურება ყველაზე მაღალი საწარმოთა ზომის მიხედვით სწორედ მსხვილ საწარმოებშია (მსხვილ[6] საწარმოში დაქირავებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება 1,035.7 ლარია, საშუალო[7] საწარმოში - 703.5 ლარი და მცირე[8] საწარმოში - 490.2 ლარი). მსხვილი საწარმო ასევე დომინანტია ბრუნვის, პროდუქციის გამოშვების, დასაქმებულთა და დაქირავებულთა ოდენობის მიხედვითაც.

დასკვნა

ზემოთ არსებული ანალიზიდან ნათელია, რომ ბიზნეს სექტორის აქტივობის ტემპი 2005-2014 პერიოდის განმავლობაში 2014 წელს (წინასწარი მონაცემებით) ყველაზე მცირეა (თუ 2009 წელს არ ჩავთვლით, ისიც მხოლოდ ბრუნვის შემთხვევაში). მიუხედავად იმისა, რომ 2014 წელს ეკონომიკის 4.8%-იანი ზრდა, გასულ წლებთან შედარებით ყველაზე დაბალი არ იყო (2008 - 2.6%, 2009 - (-3.7%), 2013 - 3.3%). ამის მიზეზი კი მეტწილად ქვეყანაში ბიზნესგარემოს გაუარესებაა, რაც ძირითადად რეგულაციების გამკაცრებაში, გამოიხატება: ეს არის ვიზების გამკაცრება, მიწის უცხოელებისთვის მიყიდვის შეზღუდვა და სხვა. ეს ყველაფერი კი ქვეყანაში ბიზნესგარემოს აუარესებს, რაც უცხოური კაპიტალის შემოდინებაზეც უარყოფითად აისახება.

დღეს, სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარება მთავრობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია, რაც ამ სექტორის სუბსიდირებით და აქტიური მხარდაჭერით გამოიხატება. 2014 წლის ივნისიდან საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ახალი სამთავრობო პროგრამის „აწარმოე საქართველოში'' განხორციელება დაიწყო, რომელიც წარმოების განვითარების და წახალისებისკენ არის მიმართული. ბიუჯეტის ოდენობა 46 მლნ ლარია (წარმოების მიმართულება - 16 მლნ ლარი, სოფლის მეურნეობა - 30 მლნ ლარი) დღეს ამ პროგრამაში დაახლოებით 69 ბენეფიციარია ჩართული. სადაც <u>ინფრასტრუქტურული</u> მხარდაჭერით 29, <u>მრეწველობის</u> წახალისების პროგრამით 31, ხოლო <u>სოფლის მეურნეობის</u> წახალისების პროექტით კი 9 ბენეფიციარი სარგებლობს. აქედან, დღეს აქტიურად დაახლოებით მხოლოდ 27 ფუნქციონირებს. ამიტომ მთავარია, რომ ეს პროგრამა წარმატებით განხორციელდეს და ყველა ბენეფიციარმა მუშაობის დაწყება აქტიურად შეძლოს. ფაქტი, რომ წარმოების განვითარება სახელმწიფოსთვის პრიორიტეტია, ეს კარგია, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია ის, რომ ამ მიზნის განხორციელებისთვის გადადგმული ნაბიჯები, რაც შეიძლება მაღალი ეფექტიანობით ხასიათდებოდეს. 2014 წლის მონაცემებით სოფლის მეურნეობის სექტორის ბრუნვის წილი მთლიანად ბიზნეს სექტორის ბრუნვაში მხოლოდ 0.53%-ია (2013 წელს კი-0.50% იყო), რაც ძალიან მცირე მაჩვენებელია და ამ ეტაპისთვის მთავრობის მიერ ამ სექტორის განვითარებისთვის არჩეული გზის არაეფექტიანობაზე გვაფიქრებინებს.

---

[6] მსხვილ საწარმოს განეკუთვნება ისეთი საწარმო სადაც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა აღემატება 100 კაცს, ან საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა 1.5 მლნ ლარს.

[7] საშუალო ზომის საწარმოს მიეკუთვნება ისეთი, სადაც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა მერყეობს 20-100 კაცამდე, ხოლო საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა -0.5 მლნ. ლარიდან 1.5 მლნ ლარამდე.

[8] მცირე ზომის საწარმოს მიეკუთვნება ისეთი, სადაც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა არ აღემატება 20 დასაქმებულს და საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა არ აღემატება 0.5 მლნ ლარს.

რეკომენდაციები:

კვლევის შედეგად გამოკვეთილი პრობლემების მოსაგვარებლად არასამთავრობო ორგანიზაცია „საზოგადოება და ბანკები'' მიიჩნევს, რომ აუცილებელია:

- გაუქმდეს ის რეგულაციები, რაც ბიზნეს გარემოს აუარესებს და არასტაბილურს ხდის (სავიზო რეგულაციები, ასევე შეწყდეს განხილვა სასოფლო-სამეურნეო მიწების უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე და/ან მათ მფლობელობაში არსებულ კომპანიებზე მიყიდვის დაუშვებლობაზე).
- აუცილებელია მოხდეს კვალიფიკაციის ამაღლება ყველა სექტორში, რადგან მისი ნაკლებობაა ერთ-ერთი მთავარი მიზეზი დღეს, ეკონომიკაში არსებული პრობლემებისა.
- ყოველი ახალი რეგულაციის შემოღებამდე წინასწარ მოხდეს კონკრეტული ცენტრის მიერ, მისი ეკონომიკაზე ზეგავლენის ანალიზი და მხოლოდ დადებითი დასკვნის შემთხვევაში მოხდეს მისი შემოღება.
- აქტიურად და სწრაფად განხორციელდეს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული აქტივების პრივატიზაცია.
- მოხდეს ბიზნესის ლიბერალიზაცია, გადასახადების შემცირება და ზოგიერთის გაუქმება; მოკლევადიან პერიოდში თუ არა, საშუალო ვადიან პერიოდში მაინც.
- სხვადასხვა სექტორების სუბსიდირებამდე მოხდეს მისი ეკონომიკაზე ზეგავლენის ანალიზი და ეფექტიანობის პროგნოზი. მხოლოდ მისი ეფექტიანობის განხილვის შემდეგ განისაზღვროს მისი განხორციელების რეალური საჭიროება. (ზოგადად მოხდეს სუბსიდიების და ბიზნეს სექტორში სახელმწიფოს როლის მინიმუმადე დაყვანა).
- გააქტიურდეს საერთაშორისო კამპანია, რაც საერთაშორისო ბაზარზე საქართველოს წარმოაჩენს, როგორც ლიბერალური ეკონომიკის მქონეს და ინვესტორებისთვის მიმზიდველ ქვეყანას.
- ზოგადად მოხდეს საჯარო ფინანსების ეფექტიანად მართვის სისტემის სრულყოფა და მისი მაღალი უკუგების მქონე პროექტებისკენ მიმართვა.

www.sab.ge